

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის**

„სამართლის კლინიკის“ ეთიკის კოდექსი

I. ეთიკის კოდექსის ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის „სამართლის კლინიკის“ ეთიკის კოდექსი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის მოთხოვნის, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე დამტკიცებული (15.04.2006) „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ეთიკის კოდექსი ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის „სამართლის კლინიკის“ სტუდენტთა საქმიანობის ზოგად ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც სტუდენტმა უნდა დაიცვას „სამართლის კლინიკაში“ სწავლის პროცესში.

2. ეთიკის კოდექსის მიზანი

ეთიკის კოდექსის მიზანია, ეთიკის კოდექსით და ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში კანონით დაკისრებული ზნეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაიცვას ეთიკის კოდექსით და კანონით დამკვიდრებული ეთიკური ვალდებულებები, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს სამართლის კლინიკაში პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტების შენარჩუნებასა და განვითარებისათვის. ასევე, დაამკვიდროს სტუდენტის ვალდებულება ზედამხედველი ადვოკატის უშუალო კოორდინირებით დაიცვას ის ეთიკური სტანდარტები, რომლებიც ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით.

3. ეთიკის კოდექსის პრინციპები:

კოდექსის ძირითადი პრინციპებია კონფიდენციალურობა, სტუდენტთა თანასწორუფლებიანობა, კლიენტის ინტერესების უპირატესობა და პატივისცემა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, სტუდენტის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვა, ზედამხედველი ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა.

3.1 კონფიდენციალურობა

ინფორმაცია, რომელიც კლიენტის მიერ იქნა მოწოდებული სამართლის კლინიკაში კონფიდენციალურია. ასევე დაცულია მის საქმესთან დაკავშირებით სტუდენტის მიერ მოძიებული ან ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია.

კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. ამ ვალდებულებიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით.

3.2. თანასწორუფლებიანობა

ყველა სტუდენტს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა მოქალაქეთა უფასო იურიდიულ კონსულტაციებში. სამართლის კლინიკაში ყველა სტუდენტი თანასწორუფლებიანია.

ამასთანავე სამართლის კლინიკაში ყველა კლიენტი თანასწორად იღებს უფასო იურიდიულ მომსახურებას, შესაბამისი დარგის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის ზედამხედველობით.

3.3 კლიენტის ინტერესების უპირატესობა და მათი პატივისცემა

კლიენტის ინტერესები უპირატესია. სამართლის კლინიკაში სტუდენტი ვალდებულია გასცეს უფასო კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია, ადვოკატსა ან/და ლექტორთან შეთანხმებით.

3.4 ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა.

სამართლის კლინიკის სტუდენტს უფლება არ აქვს მოემსახუროს ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, ორ ან მეტ კლიენტს, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

სტუდენტი ვალდებულია კლიენტთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან ასეთის არსებობის ვარაუდის შესახებ აცნობოს სამართლის კლინიკის ხელმძღვანელს.

3.5. სტუდენტის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვა

კლინიკური სწავლები პროცესში სტუდენტის ეთიკური ვალდებულებები რეგულირდება საუნივერსიტეტო ეთიკის ნორმებისა და ამ კოდექსის შესაბამისად.

3.6. ზედამხედველი ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა

კლინიკის ზედამხედველი ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა დადგენილის “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საფუძველზე

4. ეთიკის კოდექსის გამოყენება და დანიშნულება

ერთის მხრივ ეთიკის კოდექსი გამოიყენება სამართლის კლინიკის პროგრამაში სტუდენტთა პრაქტიკული და სწავლებისა და მუშაობის დროს როგორც მინიმალური სტანდარტი რათა დაცული იქნეს კლიენტის ინტერესი, მეორეს მხრივ კი, იმ პროფესიულ ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება საადვოკატო საქმიანობა.

5. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევაზე

5.1. სამართლის კლინიკის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში სამართლის კლინიკის ფარგლებში აირჩევა ეთიკის კომისია 5 წევრის შემადგენლობით: 1 ადვოკატი, 2 ლექტორი და 2 სტუდენტი.

5.2. ეთიკის პრინციპების დარღვევის დადგენის შემთხვევაში ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას:

ა) გაფრთხილების მიცემის შესახებ

ბ) საქმიდან მისი ჩამოშორების შესახებ

გ) სამართლის კლინიკაში სტუდენტის სწავლის შეჩერების შესახებ

5.3 დაუშვებელია ხმის მიცემისას თავის შეკავება. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.4 განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, ის თან უნდა ახლდეს გადაწყვეტილებას.

6 . სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება

სამართლის კლინიკაში ჩართულმა ნებისმიერმა პირმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ ის სიტუაციები, რომელშიც შეიძლება წარმოიშვას სამსახურებრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენება, რამაც თავის მხრივ შეიძლება პირდაპირ ან ირიბად დააზიანოს კლინიკის რეპუტაცია და წარმატება.

7. მოქმედების სფერო

ეთიკის კოდექსი გამოიყენება სამართლის კლინიკის ყველა წევრისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან კლინიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობაში. ისინი უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და უნდა იქცეოდნენ კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.